განკარგულება:**g-87. 87223563**
თარიღი:**22/12/2022**

განკარგულება N57

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისათვის კახეთის რეგიონის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაზე ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს ხელი მოაწეროს კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერიების მიერ ერთობლივად შემუშავებულ „კახეთის რეგიონის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წწ. გეგმას“, რომლის ლოგიკური ჩარჩოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტისთვის შესასრულებლად სავალდებულო ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა.

2. განკარგულება გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თელავი, აღმაშენებლის ქუჩა N41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM